10/12/2021

ანტივაქსერებო, გსურთ ნიჩაბი და მიწა?! – მიტროპოლიტი მაკარი

საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, თეოლოგიის დოქტორი, სიდიროკასტრუს მიტროპოლიტი მაკარი ანტივაქსერთა აქციებს გამოეხმაურა.

მიტროპოლიტი ფიქრობს, რომ ადამიანი,რომელიც ღვთისგან ბოძებულ და მონიჭებულ სამედიცინო საშუალებას (წამალს) არ იყენებს, პასუხისმგებელია სამყაროს წინაშე.

მიტროპოლიტმა მაკარმა განაცხადა:

“მთელი წელი ვლოცულობდით, რომ მეცნიერებს კოვიდასწინააღმდეგო წამალი გამოეგონათ. ასეც მოხდა! უფალმა შთააგონა ჩვენ მეცნიერებს წამალი, რომლის გაკეთების შემთხვევაში ნაკლებია შანსი კორონას ემსხვერპლო და ამ დროს გამოდის საზოგადოების ნაწილი და აცხადებს, რომ “არა! ჩვენ არ გვინდა წამალი!” აბა, რა გინდათ, ნიჩაბი და მიწა?! არ გეცოდებათ თქვენი თავები?” – აღნიშნა მიტროპოლიტმა მაკარმა.

wenews.ge